

**მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
The Caucasus Institute for Peace, Democracy and Development**

თბილისი, მერაბ ალექსიძის 1, მე-11 სართ.

1, Merab Alexidze St., 11th floor, Tbilisi, Georgia

**საქართველო:
საზოგადოება
პრესის მიმოხილვა**

**ბიულეტენი №18
ივლისი, 2005 წ.**

საერთო პრესა

„24 საათი“, 5.07.05.

„24 საათის“ ინფორმაცია

მწერლის ანათემა

„სულიერების, მეცნიერების და კულტურის აღორძინების და განვითარების“ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის აღმასრულებელი მდივნის, გიორგი ზვიადაძის განცხადებით, საქართველოს საპატრიარქო რომანისთვის „ჩვენი უცოდველობა, მამავ“ (გამომცემლობა „ოქტავა“, 2004 წ.) ახალგაზრდა ქართველი მწერალის, ზურაბ მესხის ანათემას აპირებს. რომანი შეულამაზებლად და გულახდილად მოგვითხრობს ახალგაზრდა ქალის ტრაგიკულ ბედზე და ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეებს ამხელს. რომანის გმირებს შორის მღვდლებიც არიან; მთავრი გმირი მღვდლის შვილია, მაგრამ საპატრიარქოს რისხვა ერთმა იმ უმნიშვნელო პერსონაჟმა დაიმსახურა, რომელიც რომანში სულ რამდენიმე წინადადებით მოიხსენიება: „ყოფილა ვინმე როენა თუაშვილი... ეკლესიის მთავრობაში ვიდაც გავლენიანი... ეს როენა თუაშვილი ყოფილა მღვდლების კაგებე, თუ რაღაც ეგეთი... ამ თუაშვილს მღვდლები და ეპისკოპოსები ფეხქვეშ ეგებიან თურმე, მიაქვთ საჩუქრები და რაღაცები, რადგან მაგაზეა დამოკიდებული მათი კარიერა...“ ამ ლიტერატურულ გმირში პატრიარქის რეფერენტს და, ბევრის აზრით, ეკლესიის ყოვლისშემძლე მმართველს, შორენა თეთრუაშვილს თავი ამოუცვნია. „შორენა ძალიან გაბრაზებულა“ - უთქვამს, გაზეთის ცნობით, გიორგი ზვიადაძეს.

„გერსია“, 8-10.07.05.

სოფო იმნაძე ქუთაისიდან

იედოველები „დასავლეთ საქართველოს ცენტრს“ აშენებენ

ეს ცენტრი, სტატიის ავტორის ინფორმაციით, ქუთაისში იედოველების მიერ შეძენილი ძველი სახლის აღგილზე უნდა მოეწყოს. „სექტანტებმა კ.წ. საოფისე ადგილი მიზანმიმართულად შეარჩიეს. ტაბიძის ქუჩა ქუთაისის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია, აქევა მე-2 საშუალო სკოლა, ბაღი და სამშობიარო სახლი“, – ადნიშნულია სტატიაში. გასულ კვირას ქუჩის მაცხოვრებლებმა მომავალ „ცენტრს“ ფანჯრები ჩაულენეს და მის შესასვლელთან რკინის ჯვარი აღმართეს. გარდა ამისა უკვე შეგროვებულია 2000-მდე ხელმოწერა, რათა „სექტანტებს“ მშენებლობის უფლება არ მიეცეთ.

„ახალი თაობა“, 16.07.05.

შორენა კოკორაშვილი

იუსტიციის სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის ხელშეკრულება დაიდო

გაზეთის ინფორმაციით, 15 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საპატრიარქოსთან არსებული რელიგიური საბჭოს წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე სხვა კონფესიებისადმი სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილეს, ისაუბრეს არმიაში და პენიტენციალურ დაწესებულებებში კაპელანის ინსტიტუტის შემოღების შესახებაც. საბჭომ განიხილა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდა მონასტრებში შეეძლებათ. აქვე გაზეთში იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას სიტყვებია მოყვანილი, რომელიც მოწმობს, რომ საპატრიარქოს და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმებულა ხელშეკრულება, რომელიც, მინისტრის სიტყვებით, „ითვალისწინებს ალტერნატიული სასჯელის მოხდას ტაძრების მშენებლობაზე“.

„ახალი შვიდი დღე“, 15-21.07.05.

მარინე ჯანიაშვილი

სახალხო დამცველი და რელიგიური ექსტრემიზმის მსხვერპლინი

სახალხო დამცველის აპარატთან დაფუძნებულმა რელიგიათა საბჭომ, რომელიც ოცამდე რელიგიურ მიმდინარეობას აერთიანებს, 13 ივლისს ომბუდსმენის ოფისში პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე რელიგიურ ნიადაგზე ბოლო სამი თვის განმავლობაში მომხდარი თავდასხმების და რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის თაობაზე ომბუდსმენის ოფისში „ცხელი ხაზით“ შემოსული 12 განცხადება განიხილეს.

კუბლიკაციაში მოყვანილია შემდეგი ფაქტები:

20 აპრილს უცნობმა მამაკაცმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იედოვას მოწმეებს – ლ. ცხოვრებაძეს და გ. პავლიაშვილს, რადგან ამ უკანასკნელებმა მისი დამოძღვრა სცადეს. დაზარალებულების მიერ გამოძახებულმა საპატრულო პოლიციამ მათ თავისი მხრიდანაც მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო მხარდაჭერით შეგულიანებულმა მამაკაცმა იედოვას მოწმეებს ხელმეორედ სცემა. სახალხო დამცველის

ოფისის თანასწორობისა და თავისუფლების სამმართველოს უფროსმა ბეჭა მინდიაშვილმა ინციდენტის გასარკვევად წერილით მიმართა თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველოს უფროსს გიორგი გრიგალაშვილს, რომლის პასუხში ნათქვამია, რომ პოლიციის გამოძახება არ დასტურდება.

5 ივლისს ომბუდსმენის ოფისს მიმართა საერთშორისო ქრისტიანული საქველმოქმედო-პუმანიტარული კავშირის ხელმძღვანელმა, პროტესტანტული ეკლესიის ერთ-ერთი განშტოების „ღმერთის საელჩოს“ პასტორმა გიორგი ბარბაქაძემ. მის განცხადებაში ნათქვამია, რომ ივნისში საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გიორგი შარაშენიძემ და მის მიერ გამოძახებულმა გლდანის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა მას და მის თანამომექებს მუქარის გამოყენებით შეაწყვეტინეს პუმანიტარული აქცია – მოძრავი კინოპროექტორის საშუალებით ფილმ „იქსოს“ ჩვენება მუხიანის დასახლებაში. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიმდინარეობს ფაქტის შესწავლა.

3 მაისს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ბოლნისის რაიონის მკვიდრმა, იედოვას მოწმემ ს. ხაჩატურიანმა. ის აცხადებდა, რომ გამწვევი კომისიის მიერ მოტყუებით იყო გაწვეული სავალდებულო სახედრო სამსახურში, მაშინ როდესაც მრწამსიდან გამომდინარე ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში წასვლას ითხოვდა. სახალხო დამცველის ჩარევის შემდეგ ხაჩატურიანი გადაყვანილი იქნა ალტერნატიულ სამსახურში.

პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლენის ზრდის ტენდენციას და აღნიშნა, რომ მისი ოფისის რეკომენდაციების მიუხედავად, პოლიციამ და პროკურატურამ განცხადებების დიდი უმრავლესობა რეაგირების გარეშე დატოვა.

„ქრონიკა“, 18-24.07.05.

ლევან ცალუდელაშვილი

**რატომ ურტყამებ და აგინებებ საქართველოში
„იედოველებს“ ყველაზე ხშირად**

„რელიგიურ შეუწყნარებლობას და ექსტრემიზმს საქართველოში, როგორც ჩანს, ვერც ბასილი მკალავიშვილის დაპატიმრებამ უშველა და ვერც რელიგიური საბჭოების ხელმოწერებით გაჭრელებულმა მემორანდუმებმა. იედოვას მოწმეებს ისევ გამეტებით ურტყამენ.“ – წერს შესავალში ურნალისტი და იმ პრესკონფერენციის შესახებ მსჯელობს, რომელიც სახალხო დამცველის ოფისში 13 ივლისს გაიმართა. მართალია, წერს პუბლიკაციის ავტორი, სახალხო დამცველის ინფორმაციით, ევანგელური ეკლესიის „სიცოცხლის სიტყვის“ მქადაგებლებს ია ჯინჯველაშვილს და გაიოზ შვანგირაძეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ზემო ორსაანტის გამგებელი დაემუქრა და ქადაგება აუკრძალა, მაგრამ ომბუდსმენის აპარატს „მხოლოდ იედოველების ცემა-ტყეპის ფაქტები აქვს“. „იედოველებისთვის ლონივრად მოქნეული მამაპაპური მუშტის“ ასახენელად კი გაზეთი შეთქმულების საკმაოდ ჩახლართულ თეორიას გვთავაზობს: „წამებულების იმიჯი იედოველებისთვის მომგებიანი იმიტომ არის, რომ ისინი ამ დროს თავს გოლგოთაზე

მიმავალ ქრისტეს ადარებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები მათ დასაცავათ გრანტებს იჯიბავენ, სახალხო დამცველს მუშაობაში ეთვლება... ბასილი მკალავიშვილი ციხეშია, ვიდას „შესჩივლონ“ უსაქმურად დარჩენილმა „ინსტიტუტებმა“? გამოსავალი ერთადერთია: აცემინოს „იელოვას მოწმემ“ თავი ვიღაცას, ვისაც ამ რელიგიურად აღტკინებულის მოსმენის ნერვები არა აქვს...“ „ქრონიკა“ აცხადებს, რომ მისი დაკვირვებით, ეს სქემა წარმატებით მუშაობს.

„ხვალინდელი დღე“, 21.07.05.

ნათია ინაური (ინტერკრესნიუსი)

უველა რელიგიური მიმდინარეობა ერთმანეთს გაუთანაბრდება?

უერნალისტი ესაუბრება საქართველოს სახალხო დამცველს სოზარ სუბარს. საუბრის თემაა კანონპროექტი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც ომბუდსმენის ოფისში მუშავდება და რომელსაც, როგორც გაზეთი ვარაუდობს, საზოგადოებაში უამრავი მოწინააღმდეგ ეყოლება, ვინაიდან ამ კანონპროექტის მიხედვით უველა რელიგიური მიმდინარეობა, „იქნება ეს კანონიკური თუ ეწ. სექტანტური“, მართლმადიდებელ ეკლესისას უთანაბრდება

სუბარის თანახმად, საკანონმდებლო ინიციატივა იმან განაპირობა, რომ საქართველოში მოქმედი რამოდენიმე ეკლესისთვის, მათ შორის სომხური სამოციქულო და რომის კათოლიკური ეკლესიებისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ რელიგიურ მიმდინარეობას შეეძლება რეგისტრაციაში გატარდეს კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. რელიგიური ორგანიზაციისათვის საჯარო პირის იურიდიული სტატუსის მისანიჭებლად კი ან სპეციალური კანონი უნდა მიიღონ, ან ხელშეკრულება გააფორმონ სახელმწიფოსთან. ომბუდსმენი არცერთ გზას არ გამორიცხავს. მისი სიტყვებით, თუ რელიგიური ორგანიზაციები ხელშეკრულების გზას აირჩევენ, მათთან ისეთი ხელშეკრულება, როგორიც მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონკორდატია, არ დაიდება. ის სხვა რანგის ხელშეკრულება იქნება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო აღიარებს ამა თუ იმ ეკლესის სტატუსს და მის უფლებრივ მდგომარეობას. რაც შეეხება „სექტანტების“ მართლმადიდებლებთან გათანაბრებას, სახალხო დამცველი აცხადებს, რომ „კანონი სექტანტს და არა სექტანტს ვერ გამოჰყოფს, ანუ იგი უველა რელიგიურ ჯგუფზე ერთნაირად ვრცელდება, და საქართველოში უველას უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული“.

„რეზონანსი“, 22.07.05.

ნათურა ომანიძე

თუ „იელოველები“ დარჩებიან, აქ შეიძლება მკვლელობა მოხდეს

ქუთაისში უკიდურესად გამწვავდა კონფლიქტი რელიგიურ ნიადაგზე. გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის მაცხოვრებლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან „სექტანტების“ ფარულ ზრახვებს. ისინი დარწმუნებული არინ, რომ იელოვას მოწმეებმა მათ ქუჩაზე ძველი სახლი ფარული მიზნით შეიძინეს და მისი რეკონსტრუქციის შემდეგ იქ მთელი დასავლეთ საქართველოს იელოველთა ცენტრი ამოქმედდება. სახლის მეპატრონები ამას უარყოფენ. საქმე, როგორც წერს ურნალისტი, ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდეც კი მივიდა – არა ერთი მუქარის შემდეგ ქუჩის მაცხოვრებლებმა იელოველებს ქვები დაუშინეს და ერთ-ერთ მათგანს თავში მოახველდეს. მომხდარზე საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა, მაგრამ რაიონის პროკურორის მოადგილის გოგიტა გოგლიჩიძის განცხადებით, დამნაშავის დადგენა ვერ ხერხდება. იელოვას მოწმეთა ადგოკატის მანუჩარ ციმინტიას სიტყვებით კი, დაზარალებულებმა მოძალადის ვინაობა მშვენივრად იციან და მისი გვარი პროკურატურასაც დაუსახელეს.

ქალაქის არქიტექტურულმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება იელოვას მოწმეების მიერ შეძენილ სახლში უნებართვო სარემონტო სამუშაოების შეჩერების თაობაზე. დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ სახლის მფლობელები მხოლოდ სახურავის ფილებს ცვლიდნენ, რასაც, კანონის მიხედვით, არავითარი ნებართვა არ სჭირდება. თავისუფლების ინსტიტუტის წევრმა თეა თუთბერიძემ არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებას დისკრიმინაციული უწოდა და გენერალური პროკურორის ჩარევით დაიმუქრა. ჯერჯერობით კი, წერს ურნალისტი, „ზედ იელოველების სახლთან მეუფე კალისტრატეს კურთხევით დიდი რკინის ჯვარი დაიდგა“.

„ალია“, 23-25.07.05.

კავკას-პრესი

ბასილი მკალავიშვილის სააპელაციო სასამართლო განახლდა

საოლქო სასამრთლოში ბასილი მკალავიშვილისა და პეტრე ივანიძის სააპელაციო პროცესი განახლდა. მათი ადგოკატები აპროცესტებენ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც „ბაპტისტურ-ეგანგელისტური ლიტერატურის განადგურებისათვის“ ბასილ მკალავიშვილს 7, ხოლო პეტრე ივანიძეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. სხდომაზე დაცვის მხარის ორი მოწმე დაკითხეს. სასამართლოს მორიგი სხდომა 29 ივლისს გაიმართება.

„ქრონიკა“, 25-31, 07.05.

რუბრიკა „რელიგია“

საქართველოში ქრისტიანულ ეკლესიათა ეკუმენური საბჭო მოქმედებს

რელიგიურმა საბჭომ, რომელიც საპატრიარქოში შეიქმნა, მუშობა დაიწყო, და მის პირველ შეხვედრაზე სომხურმა და კათოლიკურმა ეკლესიამ თავიანთ სტატუსთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრეს. „შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ საქართველოში ქრისტიანულ ეკლესიათა ეკუმენური საბჭო

მოქმედებს, რომელიც საქართველოს ყველა კონფესიას აერთიანებს.“

„ქრონიკა“, 25-31, 07.05.

ლევან ცალუდელაშვილი
„მეუფე ნიკოლოზმა მეუფე გაზგენს, სომხების ეპისკოპოსს, სატელეფონო საუბარში უთხრა, ჩვენ შორის სისხლია დაღვრილი და დიალოგზე გერწამოვალო“...

გაზეთი აღწერს ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარაში 17 ივლისს მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც ადგილობრივი სომხები ფიზიკურად გაუსწოდნენ თბილისიდან საპატრიარქოს ინიციატივით ჩასულ ქართველ სტუდენტებს და მათ თანმხლებ ოთხ მონაზონს. რამოდენიმე ადამიანს, მათ შორის ორ მონაზონს, სამედიცინო დახმარებაც კი დასჭირდა. თვითმხილვები, წერს გაზეთი, აცხადებენ, რომ ნაცემთა შორის არიან სომები ახალგაზრდებიც, რომლებიც სტუმრების დაცვას შეეცადნენ.

პუბლიკაციაში მოყვანილია სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის ბექა მინდიაშვილის მონათხობი, საიდანაც ვიგებთ, რომ პირველ დღეს სოფლის მოსახლეობას კარგი შეხვედრა მოუწყვია ჩასულებისათვის, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც სტუმრებს სოფლის პატარა ძველ ეკლესიაში, რომლის კუთხილებაც დღემდე სომხური და ქართული ეკლესიების დავის საგანია, რელიგიური რიტუალის ჩატარება უცდიათ, მოსახლეობა შეწინააღმდეგებია. საპასუხოდ თბილისელმა სტუდენტებმა ეკლესის თავზე ქართული დროშა აღმართეს, რასაც უკვე ცემა-ტუება მოჰყვა.

მინდიაშვილის თანახმად, ახალქალაქის გამგებელმა არაფერი იცოდა საპატრიარქოს მიერ მოწყობილი რელიგიური დატვირთვის მქონე ექსპედიციის შესახებ. მართალია, ასეთი ლაშქრობების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება პროგნოზირებადი იყო, მაგრამ მხარის ეპარქიის მეთაურმა მეუფე ნიკოლოზმა გამგეობას ექსპედიციის თაობაზე არაფერი შეატყობინა, ასევე არაფერი შეატყობინა სომები სასულიერო პირებს, რომლებთანაც საერთოდ არავითარი კონტაქტი არ აქვს; მეტიც, როდესაც მას სომხური ეკლესიის ეპარქიის მეთაური ვაზგენი დაუკავშირდა ტელეფონით, საგარაუდოდ იმისთვის, რომ კონფლიქტი ერთად დაერეგულირებინათ, მეუფე ნიკოლოზმა უპასუხა: ჩვენ შორის სისხლია(?) და ამის გამო დიალოგზე ვერ წამოვალო. ეს ამბავი მეუფე ნიკოლოზმა თვითონ მოუთხრო სახალხო დამცველს და ბექა მინდიაშვილს.

„ქრონიკამ“ სცადა მასთან ინტერვიუ, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. მოგვიანებით სომხური ეპარქიის მეთაურმა, ვაზგენ მირზახანიანმა ქართველ ხალხს და სამღვდელოებას საჯაროდ მოუხადა ბოდიში მომხდარის გამო.

„ხვალინდელი დღე“, 26.07.05.
ინტერვენციუსი

გიორგი ანდრიაძე მკვლელობების სერიაზე საუბრობს

საპატიო კონფლიქტის შემთხვევაში საპარლამენტო მდივანი, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაციონალური ლობის“ ხელმძღვანელი, გიორგი ანდრიაძე ვარაუდობს, რომ საქართველოს ეკლესიაზე შეიძლება მორიგ რაუნდს შეიძლება წინ „უბედურ შემთხვევათა“ სერია უსწრებდეს, რომლთა მსხვერპლი რამდენიმე ადამიანი გახდება, მათ შორის თვით ანდრიაძეც. ამის საფუძველს ანდრიაძეს ის ჭორები აძლევს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება წიგნს - „ჩვენი უცოდველობა, მამავ“, რომლის ირგვლივ, ანდრიაძის თქმით, ხელოვნური აუკოტაუია ატეხილი - ეს წიგნი ამზადებს საზოგადოებას, რათა იგი გაგებით შეხვდეს „საეკლესიო თემასთან დაკავშირებული პირების პიკანტურ ადგილებსა და გარემოებებში უბედური შემთხვევით გარდაცვალებას. ამით კი დამკვეთნი ორ კურდელს დაიჭერენ - ადამიანსაც მოიშორებენ და სახელსაც შეულახავენ“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 28.07.05.

ლია ჭიდლაძე

მიაყრიან ახლა ბავშვებს სექტანტურ დიტერატურას

უკრნალისტს მოჰყავს თავისუფლების ინსტიტუტის წევრის გორგი მელაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სკოლების ბიბლიოთეკებში შეიძლება ნებისმიერი სახის ლიტერატურა შევიდეს, მათ შორის რელიგიურიც, ოლონდ ყველანაირი რელიგიის შესახებ ლიტერატურა თანაბარი უფლებით უნდა სარგებლობდეს. რელიგიური სიმბოლიკა არ უნდა გამოვინონ. მასწავლებელს, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელს, ჯვრის ან სხვა რელიგიური სიმბოლოს გამოსაჩენ ადგილას ტარება უნდა აეკრძალოს და ა.შ. და ამ განცხადებაზე კომენტარს საპატიო კონფერენციაზე გამოიტანის თამჯდომარეს, მამა გიორგი გამრეკელს სთხოვს.

მამა გიორგის მიაჩნია, რომ სასკოლო ბიბლიოთეკაში ლიტერატურა მკაცრად უნდა შეირჩეს სასკოლო პროგრამების შესაბამისად. სკოლებში „სწავლა-განათლების და არა თვითნებობის გარემო უნდა შეიქმნას“. იგი თვლის, რომ მთავარი დამკვეთი სკოლაში მშობელია და ზემოხსენებული მიდგომა მშობლის უფლებების დარღვევადაც მიაჩნია. რაც შეეხება რელიგიური სიმბოლოების ტარებას, პროტოპრესვიტერის სიტყვებით, ეს „აღმასრებლობის გულწრფელი აღიარებაა... თუკი ყველას აუკრძალავენ ნიშნის ტარებას, მაშინ ჩვენ ვაიძულებთ, რომ ათეიისტური გამოსახულება ატარონ, ანუ ურწმუნობა. ეს რა, არ არის ათეიზმის პროპაგანდა?“

უკრნალისტის შეკითხვაზე, მისადებია თუ არა ზოგადი განათლების კანონის ის პუნქტი, რომელიც კრძალავს ცენზურას სკოლის ბიბლიოთეკაში, მამა გიორგი პასუხობს: „ნუ გვაშინებენ სიტყვა ცენზურით, თუ ცენზურის უკან დგას პედაგოგის გულისხმიერი პოზიცია... ის ცენზორი კი არ იქნება, არამედ წინამდღოლი წიგნის სამყაროში.“ მამა გიორგის უკვირს, რატომ უნდა მოქმედებდეს განათლების სამინისტრო თავისუფლების ინსტიტუტის დიქტატის ქვეშ და არ ისმენდეს ეკლესიის შეგონებას. იგი იმედს არ კარგავს, რომ საპატიო კონფერენციაზე მიიღწევა.

სასულიერო პრესა

მიმდინარე თვის რელიგიურ პრესაში წინა თვეებისაგან განსხვავებული ტენდენციები არ შეინიშნება.

საქართველოს ეკლესია და მართლმადიდებელი სამყარო

იერუსალიმის საპატრიარქოში შექმნილი კრიზისული მდგრმარეობის გამო 24 მაისს, კონსტანტინოპოლიში, წმ. გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში პანორომოქსული სინოდი გაიმართა. შეკრებას საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციაც ესწრებოდა. უურნალი „ხვამლი” დელეგაციის ერთ-ერთ წევრთან, თბილისის საღვთისმეტყველო ინსტიტუტის პრორექტორ, დეკანოზ გიორგი ზვიადაძესთან ინტერვიუს ბეჭდავს.

კითხვაზე, თუ რატომ დაუჭირა მხარი საქართველოს დელეგაციამ კორუფციაში ბრალდებულ იერუსალიმის პატრიარქი ირინეოსს, მამა გიორგი პასუხობს: „პატრიარქ ირინეოსის ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი წარმოდგენილი არ ყოფილა. ამიტომ საქართველოს ეკლესიამ მხარი დაუჭირა კანონიკურობას, საეკლესიო სამართალს, საეკლესიო ღირსებას. აგრეთვე იმას, რომ ეს საკითხი შესწავლილიყო უფრო გამოწვდილვით”. („ხვამლი” №2. 2005 წ. გვ. 8-9)

შიდასაეკლესიო ცხოვრება

უურნალი „ხვამლი” ა.წ.-ის 27 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში შემდგარი წმინდა სინოდის სხდომის მოკლე მიმოხილვას აქვეყნებს. სინოდის განჩინება ასე გამოიყერება:

- წმინდა სინოდმა დაადასტურა კონსტანტინოპოლის შეკრებაზე საქართველოს ეკლესიის დელეგაციების მიერ განცხადებული პოზიციის მართებულობა.
- განაჩინებს: ნარკომანიასთან ბრძოლა პირველ რიგში უნდა მოიცავდეს სკოლის მოწაფეებზე ზრუნვას და მათ დაცვას ამ სენისაგან.
- წმიდა სინოდმა კაცის კვლის ტოლფას ცოდვად და ღვთისა და ერის დალატად შეაფასა ნარკოტიკების გამავრცელებელთა საქმიანობა.
- სამი მდვდელმთავრის, მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია), მთავარეპისკოპოს გრიგოლის (ბერბიჭაშვილი) და ეპისკოპოს ზენონის (იარაჯული) მიერ კათოლიკოს პატრიარქისადმი გაგზავნილი წერილის გამო შეიქმნა კომისია, მთავარეპისკოპოს

თეოდორე (ჭუაძე), მთავარეპისკოპოს საბას (გოგიბერია) და ეპისკოპოს შიოს (მუჯირი) შემადგენლობით („ხვამლი“ №2, 2005წ. გვ.7).

მართლმადიდებელი ეკლესია და „სექტები“

მიმდინარე თვის რელიგიური პრესა კვლავ ეხება სექტებისა და სექტანტებისადმი მართლმადიდებელთა დამოკიდებულების საკითხს.

ამ თემას ეძღვნება „საპარტიარქოს უწყებანში“ გამოქვენებული პუბლიკაცია, რომლის ავტორი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიეს სექტოლოგიის პედაგოგი კობა ჩიხილაძე, საუბარობს იმის შესახებ, რომ სასულიერო სწავლა-მოძღვრებას მოკლებული თანამედროვე ქართველები უმართებულო დამოკიდებულებას ავლენენ სექტანტებისადმი – ან ექვევიან მათი გავლენის ქვეშ, ან ცდილობენ მათ პიროვნულ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ავტორი თვლის, რომ ამის მიზეზი ნაწილობრივ საქართველოში რელიგიის კანონის არარსებობაა. ხელისუფლება ვერ აქვევს კანონის ნორმებში სექტანტთა ფსიქოლოგიურ „ძალადობა-აგრესიას“ საქართველოს მოსახლეობის მიმართ. მოსახლეობა კი ამას, სამწუხაროდ, ფიზიკური ძალადობით პასუხობს, რაც, ავტორის აზრით, დაუშვებელია. მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში არ არსებობს მწვალებელთა ფიზიკური დასჯის ფაქტი. წმინდა მამები მიანიშნებენ, რომ ცრუ, ემმაკისეული რელიგია ჭეშმარიტი რელიგიისაგან იმითაც განირჩევა, რომ ის ძალდატანებას მიმართავს; სარწმუნოებისათვის ფიზიკური დევნა სატანის მოგონილია.. სექტანტობის წინააღმდეგ მართლმორწმუნეთა ბრძოლა ჭეშმარიტი მოძღვრების ქადაგების საშუალებით ხდება. მართლმადიდებელმა ეკლესიამ წესად დაუდო მორწმუნებს პირად ლოცვებში მწვალებელთათვისაც ელოცათ.

ავტორი ასკვნის, რომ სექტების „ანტისახელმწიფოებრივი და ანტიადამიანური“ მოწოდებების წინააღმდეგ დამსჯელი ზომების მიღება სამართალდამცავთა პრეროგატივაა, მორწმუნებს შეუძლიათ მხოლოდ მოუწოდონ ხელისუფლებას აღასრულონ დაკისრებული მოვალეობა. („საპატრიარქოს უწყებანი“ №29. 28.07.05. გვ. 15-16.)

„საპატრიარქოს უწყებანის“ რუბრიკაში „კითხვა-პასუხი“ დასმულია ასეთი კითხვა:

რამდენად მართებულია სექტანტების შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანმა არ უნდა იმსახუროს ჯარში?

პასუხში აღნიშნულია, რომ ამგვარი შეხედულება უმართებულოა – ჩვენი წინაპრებისთვის ეკლესიას არასოდეს აუკრძალავს „სამშობლოს დაცვა. უფრო მეტიც, თვითონ ეკლესიასაც კი ჰყავს იმგვარი წმინდანები, რომლებიც მხოლოდ მხედრები იყვნენ. მაგ. წმ. დიმიტრი თესალონიკელი, ქართველებისაგან განსაკუთრებით შეუვარებული წმ. გიორგი და სხვა“. სამხედრო ვალის აღსრულება კურთხეულია ეკლესის

მიერ და აუცილებელია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის“ („საპატრიარქოს უწყებანი“ №26.7-13.07.05, გვ. 21.).

საპატრიარქოს თანამშრომლობა სხვა კონფესიებთან

უურნალი „ხვამლი“ ბეჭდავს ინფორმაციას საპატრიარქოს ინიციატივით შექმნილი რელიგიათა საკოროდინაციო ცენტრის შესახებ. ცენტრის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზრის ხელშეწყობა
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ზრუნვა
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება
- სოციალური მსახურება
- ზრუნვა მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიისათვის („ხვამლი“ №2, 2005 წ. გვ.17).

დამოკიდებულება ეკუმენური მოძრაობის მიმართ

არაქრისტიანული რელიგიების შესახებ ინფორმაცია მიმდინარე თვის პრესაში პრაქტიკულად არ გვხვდება. არც კათოლიციზმის კრიტიკას აქვს ადგილი. თუმცა უცვლელი რჩება დამოკიდებულება ეკუმენური მოძრაობის მიმართ.

უურნალი „მრევლი“ ბეჭდავს ბერძენი სასულიერო პირების მიმართვას საბერძნეთის ეკლესიის იერარქებისადმი. წერილის ხელმომწერთა შორის ჭარბობენ შავი სამღვდელების წარმომადგენლები და დავთისმეტყველები. შესავალში აღნიშნულია, რომ ეს რამდენიმე თვეა საბერძნეთის ოფიციალურ პრესაში ეკუმენური მოძრაობისა და ევროკონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის წინააღმდეგ სტატიები იბეჭდება. უურნალი გვამცნობს, რომ მათ მიერ გამოქვეყნებული მიმართვა ერთ-ერთი ამ წერილთაგანი ყოფილა.

მიმართვის ავტორები მწუხარებას და უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საბერძნეთის ეკლესიაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს) მისიონერობის და ევანგელიზაციის საერთაშორისო კონგრესს უმასპინძლა, რადგან შეუძლებელია „დვთიური ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელი, მართლმადიდებელი ეკლესია – შეუერთდეს ამგვარ საქმიანობას და არ უდალატოს საკუთარ რწმენას, არ აცდუნოს აეთილმორწმუნე მრევლი“.

ხელმომწერთა აზრით, ეკუმენიზმი ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრების იძულებით ვითარდება გათანაბრების გლობალიზაციისეული პრინციპით და მიზნად ქრისტიანთა ერთობას კი არ ისახავს, არამედ ზერელიგის ჩამოყალიბებისათვის იღწვის. „იგი ხასიათდება არა მხოლოდ ზემწვალებლობით, არამედ ზემწვალებლობაზე გაცილებით უარესად“. რაც მთავარია, დაახლოების ამგვარი მეთოდების გამოყენებისას მწვალებლები არასოდეს იცვლიან თავიანთ შეხედულებას: „ეკუმენისტურ მოძრაობაში მართლმადიდებლების ერთსაუკუნოვანი და ემს-ში ორმოცდაათწლიანი მონაწილეობის შემდეგ მართლმადიდებლობასა და პროტესტანტებს შორის უფსკრული კიდევ უფრო გაღრმავდა“, – წერია მიმართვაში.

მიმართვის ავტორები მოუწოდებენ ეკლესიის უმაღლეს იერარქებს გაემიჯნონ ემს-ს, ეკუმენურ მოძრაობას („მრევლი” №47. 2005 წ., გვ. 18-21).

ეკლესია და განათლების სისტემა:

გაზეთი „აღმსარებელი” ბეჭდავს ინტერვიუს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავჯდომარესთან, პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელთან, რომელიც კვლავ საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტსა და განათლების სამინისტროს ზოგადი განათლების სფეროში თანამშრომლობის საკითხს ეხება...

მამა გიორგი აღნიშნავს, რომ საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი შენიშვნები, სამწუხაროდ, არ გაითვალისწინეს. პროტოპრესვიტერის მტკიცებით, მათი ძირითადი მოთხოვნები იყო:

- “გაეთვალისწინებინათ სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის საკონსტიტუციო შეთანხმება.
- პედაგოგების უფლებების დაცვა.
- დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს ინსტიტუტების ურთიერთობიმართება
- ნიჭიერი ბავშვებისათვის სპეციალური პროგრამებისა და სკოლების შექმნა.“

ყოველივე ამის ნაცვლად სამინისტრო „თავისუფლების ინსტიტუტის” მოთხოვნებს ითვალისწინებს, კერძოდ:

- „რელიგიის სწავლების ნეიტრალურობა ანუ ათეისტურობა
- ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცეს სასკოლო დროისაგან თავისუფალ დროს შეასწავლოს რელიგია და ჩატაროს რელიგიური რიტუალი.
- სრული თავისუფლება ყოველგვარი გაკონტროლების გარეშე ნებისმიერი სჯულის წარმომადგენლებს“.

„ეს ცვლილებები რომ თავიდანვე ყოფილიყო ჩადებული კანონპროექტში, შესაბამისად ხალხის რეაქცია იქნებოდა. სანამ ხალხი გონის მოეგო, „თავისუფლების ინსტიტუტის” მიერ გათვალისწინებული შენიშვნები შეიტანეს“.

მიუხედავად ამისა, მამა გიორგის აზრით, „ურთიერთანამშრომლობა განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის უნდა გაგრძელდეს“ („აღმსარებელი” №6, 06-07.05. გვ. 3.).

დამოკიდებულება მედიისადმი

„ხვამლი“ მედიისადმი საპატრიარქოს სპეციალურ მიმართვას აქვევნებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართულ პრესაში ეკლესიის შიგნით არსებული პრობლემების თაობაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, მრევლსა და საზოგადოებაში შფოთი შეაქვს და „გზას უხსნის საერო პრესის ფურცლებზე შიდა საეკლესიო საკითხებზე არაჯანსაღ პოლემიკას“.

საპატიო მოუწოდების ყველას თავი შეიკავონ ამგვარი ქმედებისაგან.
„ხვამლი” №2, 2005 წ., გვ. 15).

კადენი და ჩაცმულობა

გაზეთი „კანდელი” თავის ფურცლებზე მნიშვნელოვან ადგილს უთმობს იმაზე მსჯელობას, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქრისტიანის, განსაკუთრებით კი მანდილოსნის შესამოსელი. ამ საკითხები საუბრობს ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანზი გიორგი. მისი აზრით, ღმერთმა შესამოსელი ადამიანს სირცხვილისა და სიშიშვლის დასაფარავად მისცა. დღეს კი უამრავი გოგონა შემოდის ეკლესიაში შეუფერებლად ჩაცმული. მხოლოდ მოდას აყოლა დიდი ცოდვაა და ასეთი ადამიანები „ჯოჯოხეთის სწავლებით დადიან“.

კითხვაზე, თუ რატომ ეკრძალებათ მანდილოსნებს შარვლის ჩაცმა, მამა გიორგი პასუხობს:

დიდი სჯულის კანონში პირდაპირ წერია, ნუ შეიმოსება ქალი მამაკაცის ტანსაცმლით და ნუ ჩაიცვამს მამაკაცი ქალის ტანსაცმელს. მიუხედავად ამისა, ეკლესიაში ახლად შემოსულ ადამიანს უნდა დავაცადოთ, „ვიდრე მისი გული ღვთის სიყვარულით აიგვება, შემდეგ თვითონ გაიხდის შარვალს და ქრისტიანულად შეიმოსება („კანდელი”, №25. 15-21.07.05., გვ. 2).

აღნიშნული თემა გრძელდება გაზეთ „კანდელის” მომდევნო ნომერშიც.

მამა გიორგი ამჯერად საუბრობს იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ქრისტიანის მიერ სამკაულის ტარება, როგორი ვარცხნილობა უნდა ჰქონდეს მართლმადიდებელ ქრისტიანს და რატომ ითვლება უტიფრობად ფეხის ფეხზე გადადებით ჯდომა.

„ქალს მანდილი აუცილებლად უნდა ამშვენებდეს ლოცვის დროს, როგორც მორჩილების სიმბოლო. რაც შეეხება ვარცხნილობას, პავლე მოციქული ბრძანებს: „ქალისთვის დიდებაა გრძელი თმა, ხოლო მამაკაცისთვის - სამარცხვინ”. სამკაულთაგან განსაკუთრებული ყურადღება საყურის ტარების წესზეა გამახვილებული. „საყურე ადრე მონობის ნიშანი იყო, - აღნიშნავს მამა გიორგი, - და როდესაც ადამიანს ფურზე საყურე ეკეთა, ის წარმოადგენდა მონათმფლობელის საკუთრებას. ქართველებმა ეს წესი ბრძად გადმოვიდეთ და დღეს ზოგიერთი მამაკაციც ატარებს საყურეს. მისი რაოდენობა ადამიანის ორიენტაციაზეც მიუთითებს. ეს ყველაფერი სამარცხვინოა“...

რაც შეეხება ფეხის ფეხზე გადადებით ჯდომას, ეს არის „საზოგადოების, საკუთარი თავისა და სარწმუნოების უპატივცემულობა. ესე ამბობს ეკლესია, წმინდა წერილი და ჩევნზეა დამოკიდებული, გავითვალისწინებთ თუ არა ამ რჩევას”, - დასძენს მამა გიორგი („კანდელი”. №27 24.07.05, გვ. 2).

ქრისტიანის ქცევისა და ჩაცმის შესახებ სტატიას ბეჭდავს ურნალი „კრიალოსანი”.

კითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს გამომწვევად ჩაცმა გარშემომყოფებზე, გვასუხობენ, რომ გამომწვევად ჩაცმული

ქალის დანახვა განსაზღვრულ ემოციურ განცდას აღძვრავს მამაკაცში, რაც თავის მხრივ იწვევს ორგანოთა სისტემების გაძლიერებულ მუშაობას, პორმონების უმიზნოდ გამოყოფას, რაც იწვევს გადაღლას, ცვეთას. ნებისმიერ დაწესებულებაში გამომწვევად ჩატარებული ქალი არასამუშაო ატმოსფეროს ქმნის, აბრკოლებს მუშაობას.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ტვინის უჯრედებს სხვადასხვა სახის ფიზიკურ გამაღიზიანებლებთან ადაპტაცია ახასიათებს. მამაკაცებს თანდათან უვითარდებათ მავნე ჩვევა და ძლიერ ინტიმურ გამღიზიანებლებზე მგრძნობელობა მკვეთრად უქვეითდებათ, რაც დასაჭურისების ტოლფასია. „გამომწვევად ჩატარებული ქალის ძალადობა მამაკაცზე“. („კრიალოსანი“ №6, 06-07. 2005 წ. გვ. 36)

„საპატრიარქოს უწყებანი“-ს რუბრიკა „კითხვა-პასუხი“ თანამედროვე საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი ეკლესიის დამოკიდებულებას ეხება.

სკოლის პედაგოგი კითხულობს: როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც მოსწავლეთა შორის სიგარეტის მოწევის შემთხვევები ხშირდება, გოგონები კი იმგვარი ტანსაცმლით დადიან, რომ სხეულის ინტიმური ნაწილები უჩანთ?

პასუხში აღნიშნულია, რომ პრობლემის ძირი ბავშვებისა და მათი მშობლების არაეკლესიურობაა („საპატრიარქოს უწყებანი“ №27. 7-13.07.05, გვ. 20).

ეკლესია და პარაფილოსოფია

ურნალი „ხვამლი“ ბეჭდავს სტატიას სათაურით „თეოსოფია და ანთროპოსოფია ქრისტიანობის შუქზე“. პუბლიკაციის მიხედვით, თეოსოფიის რელიგიური სინკრეტიზმის ამოცანაა რელიგიისადმი გულგრილობის გამომუშავება, „თავისუფლება“, რომლის შედეგიც ღმრთისგან განდგომა და ანტიქრისტიანობაა. ინილება რა ქრისტიანობის სახელით, თეოსოფია და ანთროპოსოფია მხოლოდ მოჩვენებითი ქრისტიანობაა. ყველა ქრისტიანული ცნება, რომელსაც თეოსოფია და ანთროპოსოფია ეხება, გაუკულმართებულია. ამიტომ, ასკვნის ავტორი, ეს მოძღვრებები ქრისტიანული კი არა, სწორედ რომ ანტიქრისტიანულია („ხვამლი“ №2, 2005 წ., გვ. 19-20.).